ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3654674

ნომერი: AR1542571

თარიღი : 12.10.2017

გაცემის თარიღი : 02.11.2017

გაცნობის თარიღი : 02.11.2017

შედეგი : პირობადადებული.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ქუჩა ძმ. კაკაბაძეები (ყოფ. ლეონიძე), N2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ბეგალაშვილი პ/ნ 01001089504
- თბილისი მუხიანი II მ/რ კორ. 19 ბ. 13

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა AR1542571 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ქუჩა ძმ. კაკაბაძეები (ყოფ. ლეონიძე), N2-ის მიმდებარედ, ღია სეზონური კაფეს მოწყობას გაცნობებთ, რომ საკითხი განხილულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სხდომაზე, სადაც საკითხს მიეცა დადებითი რეკომენდაცია. ვინაიდან თქვენ მიერ ღია სეზონური კაფეს მოწყობა იგეგმება თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, დამატებით უნდა წარმოადგინოთ თვითმმართველი ერთეულის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა ან იჯარის წესით მიწის აღების დამადასტურებელი დოკუმენტი; სამსახური გასცემს აღნიშნულ ნებართვას მხოლოდ იმ პირობით, რომ ორი თვის განმავლობაში თქვენ მიერ დამატებით იქნება წარმოდგენილი ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია. მოთხოვნილი დოკუმენტაცია უნდა აიტვირთოს ამავე განაცხადზე დამატებითი დოკუმენტის ველში. ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 66-ე მუხლის მე-6 პუნქტის და მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გეძლევათ ნებართვა ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ქუჩა ძმ. კაკაბაძეები (ყოფ. ლეონიძე), N2-ის მიმდებარედ არსებული საზოგადოებრივი კვების ობიექტის წინ დროებითი საზაფხულო კაფეს განთავსების მიზნით 2017 წლის 03 იანვრამდე წარმოდგენილი ესკიზის და ფოტო მონტაჟის შესაბამისად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.